ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 2

"24" იანვარი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" (ს/კ 202886788) მიერ მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ" და „ლ" ქვეპუნქტების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 22 იანვრის №20.68.99 და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" (ს/კ 202886788) 2020 წლის 20 იანვრის №01/302 (რეგისტრაციის №17-0120021190-01) განცხადების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მოწონებულ იქნეს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" (ს/კ 202886788) მიერ მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" შპს „თბილლაინისთვის" (ს/კ: 404392260), შპს „კაპიტალ გრუპისთვის" (ს/კ: 202353194), შპს „თბილ ქარისთვის" (ს/კ: 404393241) და შპს „ფაბლიქ ქარისთვის" (ს/კ: 404392411) არაუმეტეს 300 (სამასი) ერთეული M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალების პირდაპირი განკარგვის ფორმით, 1 (ერთი) ლარად, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხი, ამ განკარგულების დანართით წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

იჯარის ხელშეკრულება N[●]

თბილისი [თარიღი]

<u>მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები</u>

1.1. შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ (ს.კ - 202886788, წარმოდგენილი დირექტორის, [●] (შემდგომში - „კომპანია“);

1.2. შპს „თბილლაინი“, რომლის რეგისტრირებული ოფისიც განთავსებულია მისამართზე: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ნოდარ ბოხუას ქ., N4, სართული 9, ს/კ: 404392260, წარმოდგენილი დირექტორის, ედუარდ აფრასიძის (პ/ნ 62004002592) მიერ;

1.3. შპს „კაპიტალ გრუპ“, რომლის რეგისტრირებული ოფისიც განთავსებულია მისამართზე: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ნოდარ ბოხუას ქ., N4, სართული 9, ს/კ: 202353194, წარმოდგენილი დირექტორის, ზვიად ბოკუჩავას (პ/ნ 01008019391) მიერ;

1.4. შპს „თბილ ქარ“, რომლის რეგისტრირებული ოფისიც განთავსებულია მისამართზე: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ნოდარ ბოხუას ქ., N4, სართული 9, ს/კ: 404393241, წარმოდგენილი დირექტორის, კახაბერ ჭიპაშვილის (პ/ნ 18001001356) მიერ;

1.5. შპს „ფაბლიქ ქარ“, რომლის რეგისტრირებული ოფისიც განთავსებულია მისამართზე: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ნოდარ ბოხუას ქ., N4, სართული 9, ს/კ: 404392411, წარმოდგენილი დირექტორის, კახაბერ გოჩიას (პ/ნ 01012006866) მიერ;

შპს „თბილლაინი“, შპს „კაპიტალ გრუპ“, შპს „თბილ ქარ“ და შპს „ფაბლიქ ქარ“ თითოეული ცალ-ცალკე წოდებული როგორც „ოპერატორი“ ან „მოიჯარე“, ერთობლივად „ოპერატორები“ ან „მოიჯარეები“, ხოლო კომპანია და ოპერატორები / მოიჯარეები ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე - როგორც „მხარე“.

პრეამბულა

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომში - „მერია“) პრიორიტეტს წარმოადგენს ქალაქ თბილისის ურბანული სატრანსპორტო ქსელისა და ინფრასტრუქტურის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად განვითარება და განახლება, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ქალაქის მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესებასა და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას;

- დღესდღეობით, მერიის მიერ გაცემული ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვისა და 2011 წლის 28 თებერვალს ქალაქ თბილისის მთავრობასა და ოპერატორს შორის დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე ქალაქ თბილისში მიკროავტობუსების ქსელის ოპერირებას ოთხი კომპანია ახორციელებს - შპს „თბილლაინი“, შპს „კაპიტალ გრუპი“, შპს „თბილ ქარი“ და შპს „ფაბლიქ ქარი“. აღნიშნული ხელშეკრულებების მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2031 წლის 1 მარტამდე;

- მერიას, „Systra Sa France“ და შპს „Spectrum Consulting“-ის ერთობლივ საწარმოს შორის 2018 წლის 29 მარტს დადებული ხელშეკრულების ფარგლებში („ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის“ პროექტი - „საქართველო - საავტობუსო ქსელის რესტრუქტურიზაცია და ინტეგრირებული ავტომატური გადახდის სისტემის დანერგვის შესახებ“) განხორციელებული სატრანსპორტო კვლევის შედეგად დადგენილია, რომ არსებული და დაგეგმილი სატრანსპორტო ქსელის ფარგლებში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ბაზარზე მნიშვნელოვანია მიკროავტობუსების როლი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ტრანსპორტის არათუ შემცირება, არამედ გაზრდა და ამ გზით მოსახლეობის საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობის ამაღლება;

- მხარეები თანხმდებიან, რომ ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას გამოყენებული მიკროავტობუსების შესაბამის (მათ, შორის გარემოსდაცვით) სტანდარტებთან შესაბამისობის გაუმჯობესების და მგზავრთა გადაყვანისას კომფორტის გაზრდის მიზნით, აუცილებელია მიკროავტობუსების პარკის ეტაპობრივი ჩანაცვლება;

- მხარეები აცნობიერებენ, რომ ოპერატორების მიერ მიკროავტობუსების პარკის ჩანაცვლება საჭიროებს დიდი ოდენობით კაპიტალური ხარჯების გაწევას;

- დღეის მდგომარეობით, ოპერატორების შემოსავლის ძირითადი წყაროა მგზავრთა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული გადაყვანის შედეგად მიღებული ტარიფი, რომელიც განსაზღვრულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N8-31 დადგენილებით;

- მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნულ ტარიფში არ ასახულა გარკვეული ფინანსური ცვლილებები, როგორიცაა ეროვნული ვალუტის კურსის გაუფასურება და საწვავის ფასის ზრდა, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა ოპერატორების დაგეგმილი ფინანსური პარამეტრები;

- 2019 წლის 10 დეკემბერს აუდიტორული კომპანიის, შპს „არესემ საქართველო“ (ს/კ: 202449207) მიერ თითოეული ოპერატორის ფინანსური მდგომარეობის შესახებ მომზადებული წერილებით დადასტურებულია, რომ ამ ეტაპზე ოპერატორების შემოსავლები არაადეკვატურია მათ მიერ გაწეულ ხარჯებთან მიმართებით. შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, თითოეული ოპერატორი მოკლებულია შესაძლებლობას შეისყიდოს ახალი მიკროავტობუსები;

- მიკროავტობუსების ჩანაცვლების გადაუდებელი საჭიროებისა და ოპერატორების რთული ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ამ ეტაპზე უზრუნველყოს არაუმეტეს 300 ერთეული მიკროავტობუსის შესყიდვა, რის შედეგადაც მგზავრების მომსახურება განხორციელდება მუნიციპალიტეტის კუთვნილი მიკროავტობუსებით;

- მხარეები ადასტურებენ, რომ მომდევნო წლების განმავლობაში თითოეულ კომპანიას გააჩნია ფინანსური პარამეტრების გაუმჯობესების მნიშვნელოვანი პოტენციალი და ამ მიზნით, მხარეები მჭიდროდ ითანამშრომლებენ, რათა მომავალში თითოეულმა კომპანიამ თავად უზრუნველყოს დარჩენილი მიკროავტობუსების პარკის ეტაპობრივი ჩანაცვლება და მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილი მიკროავტობუსების სრულად გამოსყიდვა;

- ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, 2019 წლის 13 დეკემბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და ოპერატორებს შორის დაიდო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანია მხარეთა თანამშრომლობა იმ მიზნით, რომ განხორციელდეს მიკროავტობუსების პარკის სრულად ჩანაცვლება;

- ზემოაღნიშნული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მიზნებისთვის, კომპანია მზად არის შეისყიდოს არაუმეტეს 300 ცალი მიკროავტობუსი და გადასცეს ოპერატორებს იჯარის უფლებით წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

- ოპერატორები გამოთქვამენ მზადყოფნას ამ ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული მიკროავტობუსები გამოიყენონ სრულად, მიკროავტობუსების პარკის ნაწილობრივი განახლებისა და ასევე, ზოგიერთ სამარშრუტო ხაზზე არსებული დეფიციტის შევსების მიზნით, რის თაობაზეც მხარეები ერთობლივად შეთანხმდებიან;

- მხარეები აცხადებენ მზადყოფნას, რომ მომავალში მათ შორის აქტიურად გაგრძელდება მოლაპარაკებები მიკროავტობუსების პარკის ეტაპობრივ ჩანაცვლებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეები დებენ წინამდებარე იჯარის ხელშეკრულებას (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

<u>**მუხლი 2. ხელშეკრულების ობიექტი**</u>

2.1. კომპანია აცხადებს, რომ 2020 წლის 31 დეკემბრამდე შეისყიდის და ოპერატორებს იჯარის უფლებით გადასცემს არაუმეტეს 300 (სამასი) ცალ M2 კატეგორიის ავტობუსს (შემდგომში „იჯარის ობიექტი“). თითოეული ოპერატორი აცხადებს თანხმობას კომპანიის მიერ იჯარის ობიექტის მისთვის ამ ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემის შემთხვევაში იჯარით სარგებლობაში მიიღოს იჯარის ობიექტი.

2.2. იჯარის ობიექტის შესაბამისი ნაწილი თითოეულ მოიჯარეს გადაეცემა დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული M2 კატეგორიის ავტობუსების მოძრაობების მარშრუტების შესაბამისად მგზავრთა გადაყვანის მიზნით (შემდგომში - „მომსახურება“), როგორც ეს გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და მოიჯარეებს

შორის 2011 წლის 28 თებერვალს ქალაქ თბილისში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების შესახებ დადებული ხელშეკრულებებით.

2.3. იჯარის ობიექტის გადაცემა განხორციელდება 2020 წლის 31 დეკემბრამდე ეტაპობრივად ან ერთიანად, სათანადო მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი თითოეული მოიჯარისათვის იჯარით გადასაცემი იჯარის ობიექტის მდგომარეობა. მიღება-ჩაბარების აქტი უნდა გაფორმდეს არსებითად დანართი N1-ის სახით, რომელიც ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2.4. კომპანია ვალდებულია იჯარის ობიექტი გადასცეს თითოეულ მოიჯარეს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში. იჯარის ობიექტის ნივთობრივი მდგომარეობა აისახება მიღება-ჩაბარების აქტში (დანართი N1).

2.5. თითოეული მოიჯარის მიერ ამ ხელშეკრულების შესაბამისად იჯარის ობიექტით სარგებლობის უფლება გულისხმობს იჯარის ობიექტით უწყვეტი სარგებლობის უფლებას მისი სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად, რაც მოიცავს შესაბამისი მოიჯარისათვის უფლების მინიჭებას, რათა ამ უკანასკნელმა ისარგებლოს იჯარის ობიექტით ამ მუხლის 2.2 პუნქტში მითითებული მომსახურების გაწევის მიზნით.

მუხლი 3. საიჯარო ქირა და ანგარიშსწორების წესი

3.1. თითოეული მოიჯარის მიერ კომპანიისთვის გადასახდელი საიჯარო ქირა შეადგენს ყოველწლიურად 1 (ერთი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

3.2. თითოეულ მოიჯარესა და კომპანიას შორის ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს უნაღდო ანგარიშსწორების გზით, კომპანიის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით, არაუგვიანეს ყოველი საანგარიშო წლის უკანასკნელი თვის ბოლო სამუშაო დღისა.

მუხლი 4. იჯარის პირობები, მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. კომპანია ვალდებულია:

4.1.1. 2020 წლის 31 დეკემბრამდე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე გადასცეს მოიჯარეებს იჯარის ობიექტი.

4.1.2. მოიჯარეებს გადასცეს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ქონება. მხარეები თანხმდებიან, რომ ნივთობრივად უნაკლო მდგომარეობა, მათ შორის, მოიცავს იჯარის ობიექტის, რაიმე დამატებითი ხარჯისა და ძალისხმევის გარეშე, სრულ შესაბამისობასა და ვარგისიანობას მეორე მუხლში აღწერილი მიზნით ოპერატორების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად გამოყენებისათვის;

4.1.3. ხელი შეუწყოს მოიჯარეებს ამ ხელშეკრულებით იჯარის უფლების ჯეროვან რეალიზაციაში, ისევე როგორც მოიჯარეების ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა და ნებისმიერი უფლების რეალიზაციაში;

4.1.4. შესაბამისი მოიჯარის მოთხოვნიდან შესაძლო მოკლე ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში, გასცეს შესაბამისი მინდობილობა, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტსა და მიანიჭოს შესაბამისი უფლებამოსილება მოიჯარის მიერ მითითებულ პირებს, რაც საჭიროა მოიჯარის მიერ იჯარის ობიექტის მეორე მუხლში მითითებული მიზნით შეუფერხებლად გამოყენებისათვის;

4.1.5. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების სხვა პირობები.

4.2. კომპანია უფლებამოსილია:

4.2.1. მოსთხოვოს მოიჯარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

4.2.2. გამოიყენოს წინამდებარე ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით მასზე მინიჭებული სხვა უფლებები.

4.3. თითოეული მოიჯარე ვალდებულია:

4.3.1. უზრუნველყოს საიჯარო ქირის გადახდა წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად;

4.3.2. კომპანიის მითითებების შესაბამისად, თითოეული მოიჯარის მიერ მიწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით, გადაცემული იჯარის ობიექტის გამოყენებით, უზრუნველყოს მიკროავტობუსების პარკში არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში არსებული M2 კატეგორიის ავტობუსის ჩანაცვლება ან/და ზოგიერთ სამარშრუტო ხაზზე არსებული დეფიციტის შევსების მიზნით, დამატება;

4.3.3. იჯარის ობიექტი გამოიყენოს მხოლოდ ხელშეკრულების 2.2 პუნქტით გათვალისწინებული მიზნით, ამავე პუნქტში მითითებული ხელშეკრულებების პირობების და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით;

4.3.4. უზრუნველყოს იჯარის ობიექტის მუდმივი მოვლა-პატრონობა, საჭიროების შემთხვევაში, შეკეთება ან/და კაპიტალური რემონტის განხორციელება;

4.3.5. მასსა და კომპანიას შორის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის ან ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში კომპანიას დაუბრუნოს იჯარის ობიექტი იმავე მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც ჩაიბარა მისგან (ბუნებრივი ცვეთის, ამორტიზაციისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარემონტო სამუშაოების გათვალისწინებით), გარდა ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული იჯარის ობიექტის გამოსყიდვის შემთხვევებისა.

4.3.6. დაიცვას ხელშეკრულებით და მათ შორის, ხელშეკრულების 2.2 პუნქტში მითითებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობები.

4.4. თითოეული მოიჯარე უფლებამოსილია:

4.4.1. მოსთხოვოს კომპანიას წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება;

4.4.2. გამოიყენოს ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით მასზე მინიჭებული სხვა უფლებები.

4.5. ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, კომპანიის მიერ იჯარის ობიექტის შესაბამისი ნაწილის იჯარით სარგებლობაში გადაცემისა და შესაბამისი ოპერატორის მხრიდან მიღების ვალდებულება არ ვრცელდება მხოლოდ ისეთ ოპერატორზე, რომლის (1) მიკროავტობუსების პარკში არსებული M2 კატეგორიის ავტობუსები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და არ საჭიროებს ჩანაცვლებას, და (2) რომელიმე სამარშრუტო ხაზზე არ არსებობს დეფიციტის შევსების საჭიროება (ანუ ხელშეკრულების 4.3.2 პუნქტით განსაზღვრული პირობები არ არის სახეზე).

4.6. კომპანია უზრუნველყოფს იჯარის ობიექტის (თითოეული მიკროავტობუსი) დაზღვევას, რა შემთხვევაშიც თითოეული მოიჯარე აცხადებს თანხმობას, რომ უზრუნველყოფს მის სარგებლობაში გადაცემულ და კომპანიის მიერ დაზღვეულ იჯარის ობიექტის შესაბამის ნაწილზე (თითოეულ მიკროავტობუსზე) თითოეული სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში დაზღვევის ხელშეკრულებ(ებ)ით განსაზღვრული ფრანშიზის გადახდას. კომპანია ვალდებულია დაზღვევის ხელშეკრულების პირობების თაობაზე აცნობოს მოიჯარეებს მისი დადებისთანავე, ხოლო მოიჯარეები ვალდებული არიან თითოეული სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში აცნობონ კომპანიას.

<u>მუხლი 5. უფლებათა გადაცემა და იჯარის ობიექტის გამოსყიდვა</u>

5.1. მოიჯარეებს უფლება არ აქვთ მესამე პირს დაუთმონ ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და/ან მესამე პირს გადააკისრონ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება და არ უნდა განიმარტოს ისე რომ შეზღუდოს რომელიმე მოიჯარის უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ ქვეიჯარით გადასცენ იჯარის ობიექტის ნებისმიერი ნაწილი (მიკროავტობუსი) შესაბამის ფიზიკურ პირებზე (მძღოლებზე), რომლებიც მოახდენენ იჯარის ობიექტის (მიკროავტობუსების) ექსპლუატაციას ხელშეკრულების მეორე მუხლში მითითებული მიზნით.

5.2. იმ პირობით, რომ 2020 წლის 31 დეკემბრამდე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის საფუძველზე ერთ-ერთ მოიჯარეს მაინც მიღებული აქვს იჯარით სარგებლობაში იჯარის ობიექტი (მიკროავტობუსების გარკვეული რაოდენობა), თითოეული ოპერატორი ვალდებულია წელიწადში ერთხელ წარუდგინოს კომპანიას თითოეული ოპერატორის ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, რომელიც მომზადებული უნდა იყოს აუდიტორული კომპანიების სიაში (როგორც ეს განმარტებულია 5.10 პუნქტში) მითითებული კომპანიებიდან ერთ-ერთის მიერ, როგორც ამას საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვეტენ ოპერატორები. აღნიშნულ დასკვნებთან ერთად კომპანიას, აგრეთვე, უნდა წარედგინოს იგივე აუდიტორული კომპანიის მიერ მომზადებული წერილი, სადაც მითითებული იქნება დასკვნებიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგეგებში არსებული ოთხივე ოპერატორის ჯამური გაუნაწილებელი მოგება/დაგროვილი ზარალი (ოპერატორის არსებობის განმავლობაში დაგროვილი მოგება ან ზარალი, რომელიც აისახება ბალანსის კაპიტალის ნაწილში).

5.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 5.2 პუნქტში მითითებულ დასკვნებსა და წერილში აღნიშნულია, რომ ოთხივე ოპერატორის ერთობლივი დაგროვილი ფინანსური შედეგი არის ნულზე მეტი (რაც გულისხმობს ერთობლივი დაგროვილი ზარალის არარსებობას), მაშინ კომპანია აღნიშნული დასკვნებისა და წერილის მიღებიდან 3 თვის ვადაში უფლებამოსილია მოითხოვოს თითოეული ოპერატორისაგან, რა შემთხვევაშიც თითოეული ოპერატორი ვალდებულია წარუდგინოს კომპანიას აუდიტორული კომპანიების სიაში (როგორც ეს განმარტებულია 5.10 პუნქტში) მითითებული კომპანიებიდან ნებისმიერის მიერ მომზადებული საკონსულტაციო დოკუმენტი, რომლითაც უნდა დადგინდეს შემდეგი: (ა) მსგავსი ან არსებითად მსგავსი რისკების მატარებელ ბიზნეს მოდელზე (პროცესზე) საქართველოს ან, თუ ამის დადგენა შეუძლებელია, საქართველოს ყველაზე მსგავს ბაზარზე არსებული კაპიტალის უკუგების (Return on Equity) კოეფიციენტი გამოხატული პროცენტში, (ბ) შეფასების მომენტისთვის შესაბამისი მოიჯარის კაპიტალზე უკუგების კოეფიციენტი გამოხატული პროცენტში, (გ) სხვაობა ამ წინადადების (ა) ნაწილში მითითებულ კოეფიციენტსა და (ბ) ნაწილში მითითებულ კოეფიციენტს შორის, და (დ) აღნიშნული სხვაობით მიღებული ფინანსური რესურსი (გამოხატული თანხობრივად), რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას იჯარის ობიექტის (სრულად ან ნაწილობრივ) გამოსასყიდად ან/და ხელშეკრულების 5.6 პუნქტის შესაბამისად ახალი მიკროავტობუსების შესასყიდად, იმ პირობით, რომ შესყიდვის განხორციელების შედეგად არ შემცირდება შესაბამისი მოიჯარის კაპიტალზე უკუგების კოეფიციენტი (ა) ნაწილში მითითებულ კოეფიციენტთან შედარებით. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 5.10 პუნქტში მითითებული აუდიტორული კომპანიებიდან ვერცერთმა ვერ შეძლო ამ პუნქტის (ა) ნაწილში მითითებული კაპიტალის უკუგების კოეფიციენტის დადგენა და წარმოადგინა დასაბუთებული უარი აღნიშნულის თაობაზე, მაშინ მხარეებმა უნდა გასწიონ მაქსიმალური ძალისხმევა რათა მოელაპარაკონ აუდიტორულ კომპანიას (ა) ნაწილში მითითებული მიზნით შესაბამისი კოეფიციენტის ალტერნატიული მეთოდოლოგიის გამოყენებით დათვლასთან დაკავშირებით. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის კაპიტალის უკუგების კოეფიციენტის განსაზღვრისას სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა ოპერატორში ნებისმიერი პირის მიერ ნებისმიერი სახით (როგორც წილის მესაკუთრეების მიერ კაპიტალში შენატანი, აგრეთვე, სხვა პირების (გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა) მიერ სესხის სახით) ინვესტირებული თანხები სრულად.

5.4. კომპანიის მიერ ხელშეკრულების 5.3 პუნქტით გათვალისწინებული საკონსულტაციო დოკუმენტის წარდგენის მოთხოვნის მიღებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში, თითოეული მოიჯარე ვალდებულია დაუკვეთოს მისი მომზადება აუდიტორული კომპანიების სიაში (როგორც ეს განმარტებულია 5.10 პუნქტში) მითითებული კომპანიებიდან ნებისმიერს და წარუდგინოს ეს საკონსულტაციო დოკუმენტი კომპანიას, დაკვეთიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღისა.

5.5. მხარეები თანხმდებიან, რომ იჯარის ობიექტის (სრულად ან ნაწილობრივ) გამოსყიდვის ვალდებულება წარმოეშობა იმ მოიჯარეს, რომლის მიმართაც ხელშეკრულების

5.3 პუნქტის შესაბამისად მომზადებული საკონსულტაციო დოკუმენტით დგინდება, რომ მის ან სხვა ოპერატორის სარგებლობაში არსებული იჯარის ობიექტის (სრულად ან ნაწილობრივ) ასეთი მოიჯარის მიერ გამოსყიდვის შედეგად არ გაუარესდება მისი კაპიტალზე უკუგების კოეფიციენტი 5.3 პუნქტის (ა) ნაწილში მითითებულ კოეფიციენტთან შედარებით.

5.6. ამ ხელშეკრულების 5.5 პუნქტის შესაბამისად, რომელიმე მოიჯარისთვის იჯარის ობიექტის (სრულად ან ნაწილობრივ) გამოსყიდვის ვალდებულების წარმოშობის შემთხვევაში, თითოეული მოიჯარე აცხადებს თანხმობას ამ ხელშეკრულების საფუძველზე მისთვის გადაცემული იჯარის ობიექტი (სრულად ან ნაწილობრივ) მის სასარგებლოდ გამოსყიდულ იქნას ნებისმიერი სხვა მოიჯარის მიერ, ხოლო კომპანია აცხადებს თანხმობას რომ შეწყდეს ასეთ იჯარის ობიექტთან დაკავშირებით შესაბამის მოიჯარესთან საიჯარო ურთიერთობა.

5.7. მხარეები თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მოიჯარეს ხელშეკრულების 5.5 პუნქტის საფუძველზე წარმოეშვა იჯარის ობიექტის (სრულად ან ნაწილობრივ) გამოსყიდვის ვალდებულება, მაგრამ ამავდროულად, (მათ შორის, ოპერატორების მიერ მიწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით) არსებობს ოპერატორების საკუთრებაში არსებული მიკროავტობუსების პარკის შესაბამისი ნაწილის ჩანაცვლების/დეფიციტის შევსების საჭიროება, კომპანიის მითითების შემთხვევაში, შესაბამისი მოიჯარე, ვალდებულია ნაცვლად იჯარის ობიექტის გამოსყიდვისა, შეისყიდოს ახალი მიკროავტობუს(ებ)ი ხელშეკრულების 2.2 პუნქტში მითითებული მომსახურების გაწევის მიზნით. ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულების 5.5 პუნქტის საფუძველზე იჯარის ობიექტის (სრულად ან ნაწილობრივ) გამოსყიდვის ვალდებულება შესაბამის მოიჯარეს წარმოეშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ პუნქტის შესაბამისად ახალი მიკროავტობუსების შეძენის შემდგომ შესაბამის მოიჯარეს დარჩენილი აქვს იჯარის ობიექტის გამოსასყიდი ფულადი რესურსი, რომელი რესურსის იჯარის ობიექტის გამოსყიდვისათვის გამოყენებაც არ გამოიწვევს ასეთი მოიჯარის კაპიტალზე უკუგების კოეფიციენტის გაუარესებას 5.3 პუნქტის (ა) ნაწილში მითითებულ კოეფიციენტთან შედარებით.

5.8. ხელშეკრულების 5.7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამისი მოიჯარე ვალდებულია 5.3 პუნქტში მითითებული საკონსულტაციო დოკუმენტის მომზადებიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვის ვადაში დადოს ახალი მიკროავტობუსების ნასყიდობის ხელშეკრულება/ხელშეკრულებები და წარუდგინოს იგი კომპანიას.

5.9. ამ ხელშეკრულების 5.5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კომპანია და ყველა შესაბამისი მოიჯარე ვალდებულნი არიან 5.3 პუნქტში მითითებული საკონსულტაციო დოკუმენტის კომპანიისთვის წარდგენიდან 6 თვის ვადაში კეთილსინდისიერად შეათანხმონ იჯარის ობიექტის ნასყიდობის ყველა არსებითი პირობა და დადონ იჯარის ობიექტის ნასყიდობის ხელშეკრულება / ხელშეკრულებები. მხარეები

თანხმდებიან, რომ იჯარის ობიექტის თითოეულ ერთეულზე ნასყიდობის ფასი გამოითვლება შემდეგნაირად:

იჯარის ობიექტის (თითოეული გადასაცემი მიკროავტობუსის) ნარჩენ საბალანსო ღირებულებას (როგორც ეს განმარტებულია 5.10 პუნქტში) დამატებული იჯარის ობიექტის ღირებულებაზე (როგორც ეს განმარტებულია 5.10 პუნქტში) ყოველწლიურად დამატებული კომპანიის მიერ იჯარის ობიექტის დაზღვევის ხარჯები და მათზე ყოველწლიურად დარიცხული სპეციალური სარგებელი (როგორც ეს განმარტებულია 5.10 პუნქტში).

აღნიშნული ქვეპუნქტის მიხედვით გამოთვლილი ნასყიდობის საფასურის საილუსტრაციო მაგალითი მოცემულია დანართში N2.

5.10. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ მუხლის მიზნებისათვის შემდეგ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

a. „აუდიტორული კომპანიების სია“ - გულისხმობს შემდეგ აუდიტორულ კოპანიებს: (1) EY საქართველო, (2) PwC (ფრაისვოთერჰაუსკუპერს ცენტრალური აზია და კავკასია ბი. ვი.-ს ფილიალი საქართველოში), (3) შპს ბიდიო, (4) შპს KPMG Georgia, (5) შპს დელოიტი და ტუში, (6) შპს არესემ საქართველო, (7) შპს გრანთ თორნთონ, (8) შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია;

b. „ნარჩენი საბალანსო ღირებულება“ - გულისხმობს იჯარის ობიექტის (თითოეული მიკროავტობუსი) ღირებულების პერიოდული დანარიცხებით შემცირებულ ღირებულებას, რომელიც გამოითვლება ფინანსური აღრიცხვის შესაბამისი სტანდარტით, ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით, მიკროავტობუსის შემთხვევაში აღნიშნული აქტივის მომსახურების 7 (შვიდი) წლიანი მომსახურების / საექსპლუატაციო ვადის, ხოლო იჯარის ობიექტის ოპერატორისათვის იჯარით სარგებლობაში გადაცემის შემდგომ კომპანიის მიერ შეძენილი და იჯარის ობიექტზე დაყენებული დამატებითი გაუმჯობესებების შემთხვევაში - შესაბამისი ფინანსური აღრიცხვის სტანდარტით გათვალისწინებული მომსახურების / საექსპლუატაციო ვადის გათვალისწინებით; ყველა შემთხვევაში იმ პირობით, რომ აღნიშნული ცვეთის დარიცხვა მოხდება იჯარის ობიექტის ღირებულების შემადგენელ თითოეულ ნაწილზე იმ მომენტიდან, როდესაც კომპანიამ გასწია ასეთი ნაწილის შესაბამისი ხარჯი;

c. „სპეციალური სარგებელი“ - წარმოადგენს თანხას, რომელიც გამოითვლება შემდენგაირად: იჯარის ობიექტის შესაბამისი მოიჯარისათვის იჯარით სარგებლობაში გადაცემის შესახებ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის მომენტიდან მისი ამ ხელშეკრულების მიხედვით გამოსყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების მომენტამდე ყოველთვიურად დარიცხული ყოველწლიური საპროცენტო განაკვეთი, სადაც აღნიშნული ყოველწლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს შესაბამის კალენდარულ წელს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) წლიური განაკვეთების გასაშუალოებულ მაჩვენებელს;

d. „იჯარის ობიექტის ღირებულება“ - წარმოადგენს საფასურს რომელიც გადახდილი აქვს კომპანიას იჯარის ობიექტის, თითოეული მიკროავტობუსის, შესყიდვისათვის და იმ მდგომარეობაში მოყვანისათვის, რაც საჭიროა მათი ოპერატორების მიერ გამოყენებისათვის მომსახურების (როგორც ეს განმარტებულია 2.2 პუნქტში) გაწევის მიზნით (როგორც იჯარით სარგებლობაში შესაბამისი ოპერატორისათვის გადაცემის მომენტამდე, აგრეთვე, მის

შემდეგ), რომლის ოდენობაც დოკუმენტურად უნდა იყოს დადასტურებული და ოპერატორებისათვის წინასწარ ცნობილი.

5.11. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ მუხლის პირობების მიუხედავად, მას შემდეგ რაც შესაბამისი მოიჯარე მიიღებს იჯარით სარგებლობაში ამ ხელშეკრულების მეორე მუხლში მითითებულ იჯარის ობიექტს, მოიჯარე, საკუთარი შეხედულებისამებრ, უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს გადაცემული იჯარის ობიექტის (სრულად ან ნაწილობრივ) შესყიდვა კომპანიისაგან. ასეთ შემთხვევაში, შესაბამისი მოიჯარე წერილობით ატყობინებს კომპანიას ამ პუნქტის მიხედვით იჯარის ობიექტის გამოსყიდვის სურვილის შესახებ. კომპანია და მოიჯარე ვალდებულნი არიან ასეთი შეტყობინების გაგზავნიდან 6 თვის ვადაში კეთილსინდისიერად შეათანხმონ იჯარის ობიექტის ნასყიდობის ყველა არსებითი პირობა და დადონ ნასყიდობის ხელშეკრულება.

5.12. მხარეები დამატებით თანხმდებიან და ადასტურებენ, რომ ამ ხელშეკრულებაში მითითებული პირობები, მათ შორის (და არამხოლოდ) იჯარის ობიექტის გამოსყიდვის წინაპირობები და იჯარის ობიექტის ნასყიდობის საფასურის განსაზღვრის მექანიზმი ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული არაუმეტეს 300 მიკროავტობუსის იჯარით სარგებლობისა და გამოსყიდვის მიზანს. შესაბამისად, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული რაიმე პირობა არ უნდა იქნას გამოყენებული ან განამრტებული ისე, რომ შეიზღუდოს რომელიმე ოპერატორის უფლება მომსახურების გაწევასა და შესაბამისი სარგებელის მიღებასთან დაკავშირებით.

<u>მუხლი 6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა</u>

6.1. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2031 წლის 1 მარტამდე.

6.2. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს კომპანიასა და შესაბამის მოიჯარეს შორის შემდეგ შემთხვევებში:

6.2.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

6.2.2. კომპანიასა და შესაბამის მოიჯარეს შორის წერილობითი შეთანხმების შემთხვევაში;

6.2.3. კომპანიის მიერ შესაბამისი მოიჯარისათვის არანაკლებ 30 (ოცდაათი) დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუ ასეთი მოიჯარე არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას;

6.2.4. ხელშეკრულების 5.8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ კომპანიასა და შესაბამის მოიჯარეს შორის შორის დაიდო ხელშეკრულება იჯარის ობიექტის ნასყიდობის თაობაზე;

6.2.5. ხელშეკრულებითა და კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6.3. კომპანია უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ 2020 წლის 31 დეკემბრამდე მოიჯარეებს არ გადაეცათ იჯარის ობიექტი. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტისას კომპანიას არ დაეკისრება რაიმე სახის პასუხისმგებლობა.

მუხლი 7. მოიჯარის პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1. რომელიმე მოიჯარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი რომელიმე ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კომპანია უფლებამოსილია დააკისროს შესაბამის მოიჯარეს პირგასამტეხლო ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების თითოეული დარღვევისთვის 500 ლარის ოდენობით. ამავდროულად, მოიჯარე ვალდებულია დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს კომპანიის შესაბამისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1. ფორს-მაჟორი ნიშნავს ნებისმიერ მოვლენას, რომელიც თითოეული მხარის გონივრული კონტროლის მიღმაა და მისი წარმოქმნის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, მათ შორის: ომი, ამბოხი, აჯანყება, შეიარაღებული კონფლიქტი, უცხოური მოწინააღმდეგის მიერ ჩადენილი მტრული ქმედება, ბლოკადა, ემბარგო, ტერორისტული აქტი, საბოტაჟი, სამოქალაქო არეულობა, რადიაცია, ბიოლოგიური ან ქიმიური დაბინძურება, იონიზებული რადიაცია, აფეთქება, ხანძარი, ეპიდემია, ციკლონი, მეწყერი, მიწისძვრა, წყალდიდობა, ვულკანის ამოფრქვევა, სხვა სტიქიური ან მეტეოროლოგიური მოვლენა.

8.2. იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოება ხელს შეუშლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე მხარის ვალდებულებების ან/და უფლებამოსილებების შესრულებას/განხორციელებას, აღნიშნული დარღვევა ჩაითვლება საპატიოდ. აღნიშნულ შემთხვევაში, მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულება გადაიწევს ფორს-მაჟორული მოვლენების არსებობის ვადის შესაბამისად.

8.3. მხარე, რომლისთვისაც ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეუძლებელი ხდება ფორს–მაჟორული გარემოების გამო, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, წერილობით შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ დანარჩენ მხარეებს.

მუხლი 9. ცვლილებები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების ცალკეული დებულება შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ნებისმიერი მუხლი ან პუნქტი გახდება ბათილი ან ძალადაკარგული, ეს არ იქონიებს გავლენას ხელშეკრულების სხვა დებულებებზე.

მუხლი 10. შეტყობინებები

10.1. მხარეების მიერ გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია, წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და გაიგზავნოს ფოსტით ან კურიერის მეშვეობით (ორიგინალთან ერთად). შეტყობინება შევა ძალაში დაუყოვნებლივ ადრესატის მიერ მისი მიღებისთანავე.

მუხლი 11. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების მოგვარება

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება განიმარტება და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2. ყველა დავა, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით, გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ასლები, ხელშეკრულების ენა

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ხუთ ეგზემპლარად.

ხელმოწერები:

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“

_____

[●]

შპს „თბილლაინი“

_____

ედუარდ აფრასიძე

შპს „კაპიტალ გრუპ“

ზვიად ბოკუჩავა

შპს „თბილ ქარ“

კახაბერ ჭიპაშვილი

შპს „ფაბლიქ ქარ“

კახაბერ გოჩია

მიღება-ჩაბარების აქტი

წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტი (შემდგომ „აქტი“) შედგენილია [●].

1.6. შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ (ს.კ - 202886788, წარმოდგენილი დირექტორის, [●] (შემდგომში - „კომპანია“)

და

1.7. შპს [●], რომლის რეგისტრირებული ოფისიც განთავსებულია მისამართზე: [●], წარმოდგენილი დირექტორის, [●] (პ/ნ [●]) მიერ (შემდგომში - „ოპერატორი“);

ვინაიდან:

- [თარიღი] კომპანიასა და ოპერატორს შორის დაიდო იჯარის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, კომპანია ვალდებულია ოპერატორს გადასცეს გარკვეული რაოდენობის M2 კატეგორიის ავტობუსი დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული M2 კატეგორიის ავტობუსების მოძრაობების მარშრუტების შესაბამისად მგზავრთა გადაყვანის მიზნით.
- ზემოაღნიშნულის სანაცვლოდ, ოპერატორი ვალდებულია გადაუხადოს კომპანიას ყოველწლიური საიჯარო ქირა იჯარის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

შესაბამისად, წინამდებარე აქტზე ხელმოწერით, კომპანია გადასცემს, ხოლო ოპერატორი ადასტურებს, რომ კომპანიისგან გადაეცა [რაოდენობა] M2 კატეგორიის ავტობუსი [დეტალური აღწერილობა] იჯარის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

მხარეთა ხელმოწერები:

კომპანიის სახელით	ოპერატორის სახელით
_____	_____
სახელი:	სახელი:
პოზიცია:	პოზიცია:

დანართი N2 - ნასყიდობის ფასის გამოთვლის საილუსტრაციო მაგალითი

საილუსტრაციო მაგალითი:

ნასყიდობის ობიექტია ერთი ცალი მიკროავტობუსი, რომელიც კონკრეტულ მოიჯარეს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადაეცა 2020 წლის 1 ოქტომბერს. 2022 წლის 1 ივლისს კომპანიამ შეიძინა და მიკროავტობუსზე დაამონტაჟა ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა, რომლის ღირებულება შეადგენს 900 ლარს. იჯარის ხელშეკრულების მეხუთე მუხლის მიხედვით სახეზეა ყველა წინაპირობა იმისათვის, რომ მოიჯარემ იყიდოს ერთი ცალი მიკროავტობუსი, რომელიც მას მიღებული აქვს იჯარით სარგებლობაში კომპანიისაგან. კოპანიასა და ასეთ მოიჯარეს განზრახული აქვთ 2023 წლის 15 ნოემბერს შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება მოიჯარისათვის შესაბამისი მიკროავტობუსის (იჯარის ობიექტის) სრულ და შეუზღუდავ საკუთრებაში გადაცემის მიზნით. ასეთ შემთხვევაში ნასყიდობის ფასი განისაზღვრება შემდეგნაირად:

დაშვებები		
იჯარის საგნის საწყისი ღირებულება	100,000	ლარი
რეფინანსირების გასაშუალოებული განაკვეთი 2020 წ.	7.2%	წლიური
რეფინანსირების გასაშუალოებული განაკვეთი 2021 წ.	7.8%	წლიური
რეფინანსირების გასაშუალოებული განაკვეთი 2022 წ.	7.5%	წლიური
რეფინანსირების გასაშუალოებული განაკვეთი 2023 წ.	7.7%	წლიური
დღიური სპეციალური საპროცენტო განაკვეთი (365 დღე) 2020 წ.	0.0197%	დღიური
დღიური სპეციალური საპროცენტო განაკვეთი (365 დღე) 2021 წ.	0.0214%	დღიური
დღიური სპეციალური საპროცენტო განაკვეთი (365 დღე) 2022 წ.	0.0205%	დღიური
დღიური სპეციალური საპროცენტო განაკვეთი (365 დღე) 2023 წ.	0.0211%	დღიური
საექსპლუატაციო ვადა	7	წელი
დღიური ცვეთა (365 დღე)	39.14	ლარი
ბალანსზე აყვანის თარიღი	1-Oct-20	თარიღი
მიკროავტობუსის სალონში განსათავსებელი ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა	1-Jul-22	თარიღი
იჯარის საგნის საწყისი ღირებულება	900	ლარი
ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის საექსპლუატაციო ვადა	3	წელი
დღიური ცვეთა (365 დღე)	0.82	ლარი
ნასყიდობის გაფორმების თარიღი	15-Nov-23	თარიღი

გამოსყიდვის ღირებულების გაანგარიშების საილუსტრაციო მაგალითი				
თარიღი	31-Dec-20	31-Dec-21	31-Dec-22	15-Nov-23
მირკოავტობუსის მფლობელობის პერიოდი (დღე)	91	456	821	1,140
აკუმულირებული ცვეთის ოდენობა	3,561.64	17,847.36	32,133.07	44,618.40
მიკროავტობუსების ნარჩენი საბალანსო ღირებულება	**96,438.36**	**82,152.64**	**67,866.93**	**55,381.60**
ვიდეო სამეთვ. სისტემის მფლობელობის პერიოდი (დღე)			183	502
აკუმულირებული ცვეთის ოდენობა			150.41	412.60
ვიდეო სამეთვ. სისტემის ნარჩენი საბალანსო ღირებულება			**749.59**	**487.40**
ჯამური ნარჩენი საბალანსო ღირებულება	**96,438.36**	**82,152.64**	**68,616.52**	**55,869.00**
მიკროავტობუსზე სპეციალური საპროცენტო სარგებლის დარიცხვის პერიოდი (დღე)	91	365	365	319
დარიცხული სპეციალური სარგებლის განაკვეთის ოდენობა	**1,795.07**	**7,800.00**	**7,500.00**	**6,729.59**
აკუმულირებული სპეციალური სარგებლის განაკვეთის ოდენობა	**1,795.07**	**9,595.07**	**17,095.07**	**23,824.66**
ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის სპეციალური საპროცენტო სარგებლის დარიცხვის პერიოდი (დღე)			365	319
დარიცხული სპეციალური სარგებლის განაკვეთის ოდენობა			**67.50**	**58.99**
აკუმულირებული სპეციალური სარგებლის განაკვეთის ოდენობა			**67.50**	**126.49**
ჯამური აკუმულირებული სპეციალური სარგებლის განაკვეთის ოდენობა	**1,795.07**	**9,595.07**	**17,162.57**	**23,951.15**
გამოსყიდვის ღირებულება ლარში ყველა გადასახადის ჩათვლით				**79,820.15**